



საქმე №33/1482-09



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა საქართველოს სახელით

05 ნოემბერი, 2009 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

თავმჯდომარე: მანანა ჩოხელი

მოსამართლეები: მაია ბაქრაძე

ნანა კობახიძე

სხდომის მდივანი – ინგა ახველდიანი-ბერძენიშვილი

I აპელანტი (მოწინააღმდეგე მხარე) – დ. ბ.;

II აპელანტი (მოწინააღმდეგე მხარე) – ს. შს ს. ა.;

დავის საგანი – სახელფასო დავალიანების ანაზღაურება;

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება;

I აპელანტის მოთხოვნა – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება;

II აპელანტის მოთხოვნა – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა.

**საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული
გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:**

2009 წლის 16 ივნისს დ. ბ.-მ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე – ს. შს ს. ა.-ს მიმართ და მოითხოვა სახელფასო დავალიანების – 1205,88 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში მიუთითა, რომ 1991 წლიდან 2005 წლამდე მუშაობდა ს. შს ს. ა.-ში მიუღებელი აქვს 1998–2003 წლების კუთვნილი ხელფასი, რომელიც ს. შს ს. ა.-ს 2009 წლის 12 ივნისის №XX/X/XXXX წერილზე დართული ცნობით შეადგენს – 1205,88 ლარს.



თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით დ. ბ.-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; კერძოდ, მოპასუხე მხარეს დ. ბ.-ს სასარგებლოდ დაეკისრა 1998-2003 წლებში მიუღებელი ხელფასის, თანამდებობრივი სარგოს და წოდების ანაზღაურება, ხოლო კვების კომპენსაციის, მატერიალური დახმარების და პრემიის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია გადაწყვეტილების დასაბუთებისას დაეყრდნო შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ საფუძვლებს:

სასამართლომ დაადგინა, რომ ს. შს ს. ა.-ს 2009 წლის 08 ივნისის №XX/X/XXXX ცნობით დ. ბ.-ს ხელზე მისაღები სახელფასო დავალიანება შეადგენს – 1205 ლარს და 88 თეთრს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის გასამრჯელო, თანამდებობრივი სარგო, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურებისათვის დაწესებული და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დანამატებით.

„საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ხელისუფლების ვალდებულებათა შესრულების მიზნით მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტია. „ბიუჯეტის შესახებ“ კანონის თანახმად, ბიუჯეტში თავს იყრის ფულადი სახსრები, რომელიც ხმარდება ქვეყნის ვალდებულებათა შესრულებას, ბიუჯეტით გათვალისწინებულია ფისკალური წლის განმავლობაში საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მიზნებისათვის დამტკიცებული ასიგნებათა მოცულობით.

„2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის თანახმად, წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს 2008 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებანი, იმ პირობით, რომ არ იქნება დაშვებული აღნიშნული მუხლის მიხედვით ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ შესაბამის დაწესებულებასა და ორგანიზაციას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის 4-ე პუნქტის თანახმად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასი) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.



„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის III პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებს ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს. ფაქტიურად ხელფასი შედგება 2 კომპონენტისაგან - თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი დანამატებისგან. მოცემული მუხლის თანახმად, ხელფასის ცნებაში არ შედის კვების ულუფის კომპენსაცია და სხვა დანამატები, მათ შორის მატერიალური დახმარება და პრემია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან სამი წელია, ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ დღეს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო მისი უფლების დარღვევის შესახებ. ივარაუდება, რომ პირმა უნდა იცოდეს ან უნდა გაეგო მისი უფლების დარღვევის შესახებ. სწორედ ამ მომენტიდან იწყება ხანდაზმულობის ვადის დაწყება. სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დღიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება. მოცემულ შემთხვევაში დ. ბ.-სათვის ცნობილი იყო, რომ მოპასუხე არ უნაზღაურებდა, თანხებს, აღნიშნულიდან გამომდინარე მას წარმოეშვა მოთხოვნის უფლება მოპასუხის მიმართ თანხის ანაზღაურების მოთხოვნით და უნდა მიემართა სასამართლოსათვის, რაც არ განუხორციელებია 2009 წლის ივნისამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება დ. ბ.-მ გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა კვების კომპენსაციის, წელთა ნამსახურობის, მატერიალური დახმარების და პრემიის ნაწილში. სააპელაციო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მისი თვითური ხელფასი შედგებოდა თანამდებობრივი სარგოს, წოდების, წელთა ნამსახურობისა და კვების კომპენსაციისაგან, რასაც პერიოდულად დროგამოშვებით ემატებოდა პრემია. ამიტომ სააპელაციო საჩივრის ავტორის აზრით, მის მიმართ გაუცემელი დავალიანება ანაზღაურებული უნდა იქნას სრულად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრა ს. შს ს. ა.-მ და მოითხოვა მისი იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი. სააპელაციო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ „2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის თანახმად, წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელია გამოყენებული იქნეს 2008 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებანი, იმ პირობით, რომ არ იქნება დაშვებული აღნიშნული მუხლის მიხედვით ახალი დავალიანების დაგროვება,



რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ შესაბამის დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ხელფასი შედგება თანამდებობრივი და წოდებისათვის დადგენილი სარგოებისგან, ხოლო კვების ულუფა, წელთა ნამსახურობის დანამატი, მატერიალური დახმარება და კანონმდებლობით დადგენილი სხვა კომპენსაციები, წარმოადგენს დამატებით კომპენენტებს. ხელფასის ზემოაღნიშნული დანამატები და კომპენსაციები წარმოადგენენ პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ვინაიდან საჯარო სამსახურში მათი გაცემა ხდება გარკვეული პერიოდულობით, როგორც წესი, თვის ბოლოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან – 3 (სამი) წელია, ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ დღეს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო მისი უფლების დარღვევის შესახებ.

ზემოაღნიშნული დანაწესების თანახმად, თითოეული თვის ხელფასის დანამატი, კერძოდ, კვების ულუფის, წელთა ნამსახურების, პრემიის, მატერიალური დახმარების და კანონმდებლობით დადგენილი სხვა კომპენსაციების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა აითვლება თვის ბოლო რიცხვიდან. მოსარჩელეს მოთხოვნის წარმოშობის მომენტი დაეწყო 1998, 1999, 2000 და 2003 წლებში, სარჩელი კი მოსარჩელემ სასამართლოში წარადგინა 2009 წელს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების გამოტანის დასაბუთება:

სააპელაციო პალატა გაეცნო და გაანალიზა საქმის მასალები, შეისწავლა სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, მოუსმინა მხარეთა წარმომადგენლებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ **დ. ბ.-ს** სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო **ს. შს ს. ა.-ს** სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო, ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილით სამართლებრივი



თვალსაზრისით შემოწმებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს სსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრების ფარგლებში შემოწმების შედეგად ასკვნის, რომ სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ – 1998-2000 წლის მიუღებელი პრემიის, წელთა ნამსახურობის, მატერიალური დახმარების და კვების კომპენსაციის – სულ – 837,18 ლარის ანაზღაურების ნაწილში, გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნები; კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი, რის გამოც გადაწყვეტილება ამ ნაწილში იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი:

– დ. ბ. 1991 წლიდან 2005 წლამდე მუშაობდა ს. შს ს. ა.-ში. ს. შს ს. ა.-ის მიერ გაცემული 2009 წლის 12 ივნისის №XX/X/XXXX წერილზე დართული ცნობით დ. ბ.-ს მიმართ 1998-2003 წლებში ხელზე მისაღები დავალიანება შეადგენს 1205 ლარს და 88 თეთრს. კერძოდ: 1998 წლის ოქტომბრის თვის ხელფასი – თანამდებობრივი სარგო – 42,84 ლარი; წოდება – 9,00 ლარი; წ/ნამსახურობა – 7,78, ლარი; კვების კომპენსაცია – 59 ლარი, მატერიალური დახმარება – 47,48 ლარი. ნოემბრის თვის ხელფასი – თანამდებობრივი სარგო – 39,24 ლარი; წოდება – 8,24 ლარი; წ/ნამსახურობა – 7,12 ლარი; კვების კომპენსაცია – 59 ლარი. დეკემბრის ხელფასი – თანამდებობრივი სარგო – 39,24 ლარი; წოდება – 8,24 ლარი; წ/ნამსახურობა – 7,12, ლარი; კვების კომპენსაცია – 59 ლარი, პრემია – 47,48 ლარი.

1999 წლის ოქტომბრის ხელფასი – თანამდებობრივი სარგო – 39,24 ლარი; წოდება – 8,24 ლარი; წ/ნამსახურობა – 7,12, ლარი; კვების კომპენსაცია – 59 ლარი, ნოემბრის ხელფასი – თანამდებობრივი სარგო – 39,24 ლარი; წოდება – 10,30 ლარი; წ/ნამსახურობა – 7,43 ლარი; კვების კომპენსაცია – 59 ლარი, დეკემბრის ხელფასი – თანამდებობრივი სარგო – 39,24 ლარი; წოდება – 9,27 ლარი; წ/ნამსახურობა – 7,28, ლარი; კვების კომპენსაცია – 59 ლარი, პრემია – 48,51 ლარი.

2000 წლის მარტის პრემია – 48,51; აპრილის ხელფასი – თანამდებობრივი სარგო – 39,24 ლარი; წოდება – 9,27 ლარი; წ/ნამსახურობა – 7,28, ლარი; კვების კომპენსაცია – 59 ლარი, მაისის ხელფასი – თანამდებობრივი სარგო – 39,24 ლარი; წოდება – 9,27 ლარი; წ/ნამსახურობა – 7,28, ლარი; კვების კომპენსაცია – 59 ლარი, ივნისის ხელფასი – თანამდებობრივი სარგო – 39,24 ლარი; წოდება – 9,27 ლარი; წ/ნამსახურობა – 7,28, ლარი; კვების კომპენსაცია – 59 ლარი, ივნისის პრემია – 48,51 ლარი.



2003 წლის ნოემბრის ხელფასი – თანამდებობრივი სარგო – 102,25 ლარი; წოდება – 10,30 ლარი; წ/ნამსახურობა – 22,51, ლარი; კვების კომპენსაცია – 59 ლარი. ხელზე გასაცემი თანხა სულ – 1205,88 ლარი (იხ.ს.ფ.11–13).

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლითა და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის №139 ბრძანებულების „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების“ 55-ე მუხლით (ძველი რედაქციის) გათვალისწინებული კვების ულუფა, პრემია, წელთა ნამსახურობის დანამატი და მატერიალური დახმარება, წარმოადგენენ კანონით გათვალისწინებულ ისეთ დანამატებს, რომლებზედაც მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლ პუნქტში და რომლებიც განიხილება საჯარო მოხელის შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) შემადგენელ ნაწილებად; ამდენად, სააპელაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ კვების კომპენსაციის, პრემიის, წელთა ნამსახურობის და მატერიალურ დახმარების ანაზღაურება მოითხოვა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2000 წლის ივნისის ჩათვლით, ვიდრე ძალაში შევიდოდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2000 წლის 28 ივნისს განხორციელებული ცვლილება, საფუძვლიანია და გაზიარებული უნდა იქნეს; ცხადია, ძველ ურთიერთობებზე კანონი – ახალი რედაქციით არ უნდა გავრცელდეს, ვინაიდან კანონის ახალ ნორმას არ აქვს მინიჭებული უკუმოქმედების ძალა. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47.1 მუხლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის, აგრეთვე „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების არცერთი მუხლი არ შეიცავს დათქმას ახალი რედაქციის ნორმებისათვის უკუძალის მინიჭების შესახებ. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას 2003 წლის ნოემბრის კვების კომპენსაციის – 59 ლარის და ამავე პერიოდის წ/ნამსახურების დანამატის – 22,51 ლარის ანაზღაურების თაობაზე, ვერ იქნება გაზიარებული, რამდენადაც „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2000 წლის 28 ივნისს განხორციელებული ცვლილებით, 31-ე მუხლის 3-ე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით ისინი აღარ იქნა გათვალისწინებული, როგორც ხელფასის შემადგენელი ნაწილი, ხოლო პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებაზე, მოსარჩელეს გაშვებული აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. მოცემულ შემთხვევაში დ. ბ.-მ სარჩელი აღძრა 2009 წლის 16 ივნისს, შესაბამისად სასარჩელო მოთხოვნები 2003 წლის წელთა ნამსახურობის და კვების კომპენსაციების მის სასარგებლოდ მოპასუხისადმი დაკისრების თაობაზე, ხანდაზმულია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისგან – 3 (სამი) წელია.



საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება თუ უფლებამოსილი პირი შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა წყდება ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე ვალის აღიარებით, რასაც მოცემულ სადავო შემთხვევაში მოპასუხის მხრიდან ადგილი არ ჰქონია; საქმეში წარმოდგენილი ს. შს ს. ა.-ს 2009 წლის 12 ივნისის №XX/X/XXXX წერილი და მასზე დართული ცნობა ატარებს საინფორმაციო ხასიათს და მოწმობს არა მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ ადასტურებს ფაქტს იმის შესახებ, თუ რა თანხა ერგება მოსარჩელეს 1998-2003 წლების განმავლობაში. ფაქტისა და სარჩელის აღიარება არ წარმოადგენდა იდენტურ ცნებებს. ფაქტის აღიარება – მტკიცებულებაა, ხოლო სარჩელის აღიარება – დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, განკარგვითი აქტი. ფაქტის აღიარება, თავის მხრივ, არ წარმოადგენდა სარჩელის აღიარებას. ამრიგად, ამ შემთხვევაში არ არსებობდა სადავო ვალდებულების ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისა და მისი ხელახლა დაწყების საფუძველი.

პალატა ვერ გაიზიარებს ს. შს ს. ა.-ს სააპელაციო საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებას გადაწყვეტილების იმ ნაწილის მიმართ, რომლითაც დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა, რამდენადაც თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტისას მართებულად გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი, რომლის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან, სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომლის გასტუმრებაზეც პასუხისმგებელია ის დაწესებულება, სადაც იგი მუშაობდა, ანუ, ამ შემთხვევაში, ს. შს ს. ა., რომლის თანამშრომელიც იყო მოსარჩელე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37.1 მუხლით (1997 წლის 01 დეკემბრიდან ამოქმედებული რედაქცია) ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), ხოლო ამ მუხლის პირველ პუნქტში 1998 წლის 20 თებერვლს №1248-II საქართველოს კანონით შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების მიხედვით, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს. ამავე კანონში 2005 წლის 23 დეკემბერს №2470-რს კანონით შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების შედეგად 37.1 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფორმირების წყაროა



შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი. ამ კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან განთავისუფლებისას) დანაწესის თანახმად, 2005 წლის 01 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე დაწესებული კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა განხორციელდება დაცულ მუხლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული ნორმით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეებზე წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება, მაგრამ სპეციალური დათქმის მიხედვით იგი არ მოიცავს საჯარო მოსამსახურისათვის განსაზღვრული კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულებასაც.

ზემოაღნიშნულის გარდა, „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 21.1-ე მუხლის თანახმად, წინა წლებში წარმოქმნილი გაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს 2009 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ასიგნებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ს. შს ს. ა.-ს სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დ. ბ.-ს სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. შს ს. ა.-ს დ. ბ.-ს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1998-2000 წლების კვების კომპენსაცია, პრემია, წელთა ნამსახურობა, მატერიალური დახმარება – სულ 837,18 ლარის ოდენობით; ხოლო გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დ. ბ.-ს სასარჩელო მოთხოვნა, ასევე, დ. ბ.-ს უარი ეთქვა 2003 წლის წელთა ნამსახურობის, კვების კომპენსაციის ანაზღაურებაზე, უნდა დარჩეს უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლისა და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

თბილისის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 12-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 389-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დ. ბ.-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ს. შს ს. ა.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;



3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება;
4. დ. ბ.-ს სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
5. ს. შს ს. ა.-ს დ. ბ.-ს სასარგებლოდ დაეკისროს 1998-2000 წლების კვების კომპენსაცია, პრემია, წელთა ნამსახურობა, მატერიალური დახმარება – სულ 837,18 ლარის ოდენობით.
4. 2003 წლის წელთა ნამსახურობის და კვების კომპენსაციის ანაზღაურებაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში (მდებარე, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32), დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს (მდებარე, თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. 7ა) მეშვეობით.

თავმჯდომარე:

მ. ჩოხელი

მოსამართლეები:

მ. ბაქრაძე

ნ. კობახიძე